საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1262

26/12/2019

ქ. თბილისი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის (ღორღის) მოპოვება დაგეგმილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობის მიმდებარედ. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია : 1) X-466158; Y-4715154; 2) X-466186; Y-4715098; 3) X-465967; Y-4714927; 4) X-465779; Y-4714624; 5) X-465675; Y-4714531; 6) X-465392; Y-4714380; 7) X-465477; Y-4714542; 8) X-465689; Y-4714772; 9) X-465786; Y-4714803; 10) X-465974; Y-4715039. განცხადების მიხედვით, ტერიტორიიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს სოფ. კობი. წარმოდგენილი კოორდინატების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი არის სოფ. სიონი, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 1 კმ-ში მდებარეობს. სალიცენზიო ობიექტი კვეთს ადგილობრივი მნიშვნელობის გრუნტის გზას, რომელიც ირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე. საპროექტო ტერიტორია უშუალოდ ესაზღვრება ყაზბეგის ეროვნულ პარკს, სახიზარის კლდის ბუნების ძეგლიდან დაშორებულია 700 მეტრით, ხოლო მდ. ტერხენადან 80 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ერთ უბნად წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს მაღალმთიანი რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 2145 მეტრზე. ობიექტი განთავსებულია ჩრდილო-აღმოსავლური ექსპოზიციის ფერდობის ძირში, მდ. ტერხენას მარცხენა შენაკადის (უსახელო წყალშემკრები ხევის) კალაპოტში.

სალიცენზიო ობიექტის პროდუქტიული წყება წარმოდგენილია დამსხვრეული მეტამორფული ფიქლებით, მოყვითალო ფერის თიხნარის და ცუდად დამუშავებული საშუალო მარცვლოვანი ხვინჭკის შემავსებლით. საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით, ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ტერიტორიის ფართობია 104790 $მ^2$, საშუალო

სიმძლავრე 3 მ. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება მოხდება ღია კარიერული წესით.

სალიცენზიო ობიექტზე, პროგნოზული წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლებით, მარაგი შეადგენს 314370 $მ^3$ -ს. ობიექტიდან მოპოვებული წიაღი გამოყენებული იქნება სამშენებლო საქმიანობაში.

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები.

სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე. ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროები იქნება სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც მოხდება კარიერის დამუშავება და შემდგომში ტრანსპორტირება. გარდა ამისა, მოპოვებით სამუშაოებს თან ახლავს ვიბრაცია, სხვადასხვა დანადგარების მუშაობისას.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ღია კარიერული წესით დამუშავებისას მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა. ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელებას ადგილი ექნება, როგორც მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში, ასევე ნედლეულის ტრანსპორტირებისას.

განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებასთან, ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებით, რაც მოსალოდნელია საქმიანობის სპეციფიკიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას. გარდა ამისა, განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის და მისი დაცულ ტერიტორიებთან თავსებადობის შესახებ, მაშინ როდესაც სალიცენზიო ობიექტი უშუალოდ ესაზღვრება ყაზბეგის ეროვნულ პარკს. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობის შედეგად მოსალოდნელია ზემოქმედება დაცულ ტერიტორიაზე.

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია გეოდინამიკური გართულებები, კერძოდ თოვლის დნობის პერიოდში მოსალოდნელია წყალმოვარდნები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში წერილობითი შენიშვნები დააფიქსირა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“, რომელიც ეხება სკრინინგის ანგარიშის არასრულფასოვნად შესრულებას. შენიშვნის ძირითადი არსი მდგომარეობს, იმაში, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით უცნობი რჩება საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი, ხარისხი და კომპლექსურობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის განხორციელება დაკავშირებულია საკმაოდ დიდი მასშტაბის (104790 $მ^2$) ახალი ტერიტორიის ათვისებასთან, რაც გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1-ე ქვეპუნქტის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი